ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 4

25 იანვარი
"___" _____ 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლების VII მიკრორაიონის კორპუსი N10ა-ში, პირველ სართულზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.005.021.04.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლების VII მიკრორაიონის კორპუს N10ა-ში, პირველ სართულზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.005.021.04.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 19 დეკემბრის №18.1040.1457 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლების VII მიკრორაიონის კორპუს N10ა-ში, პირველ სართულზე არსებული 35,52 კვ.მ ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.11.10.005.021.04.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ანა ფოცხვერაშვილისთვის (პ/ნ №01001035118) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე